ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2460272

ნომერი: AR1378944

თარიღი : 16.02.2016

გაცემის თარიღი : 01.03.2016

გაცნობის თარიღი : 01.03.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- I კლასი
- V კატეგორიის ელექტროსადგურები (50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგური, მზის ან ბიოგაზის დანადგარი) კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ინგოროყვას ქ. N5–ში

ჩილერის დანადგარების მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ არ იქნა გამოსწორებული სამსახურის 26.02.2016 წლის №2449216 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზი, კერძოდ:

1. განაცხადის დარეგისტრირებისას თქვენს მიერ არასწორადა იქნა შერჩეული კორექტირების ნომენკლატურა. საჭიროა განაცხადი დაარეგისტრიროთ ნომენკლატურაში: I კლასი • V კატეგორიის ელექტროსადგურები (50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგური, მზის ან ბიოგაზის დანადგარი)>ქმედებები: ახალი მშენებლობა;

განმეორებით გაცნობებთ, რომ ხმაურის ნორმირებული პარამეტრები და ზღვრულად დასაშვები დონეები დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანებით N297/ნ ,,გარემოს ხაერისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამკიცების შესახებ“ (ს ნ 2. 2. 4/2. 1. 8. 000-00 _ ,,ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიებზე"). აღნიშნული სანიტარული ნორმებით მუდმივი ხმაურის შეფასებისათვის დასაშვები ბგერის დონე ბინების საცხოვრებელ ოთახებში შეადგენს დღის საათებში LA 40 დბ-ს, ღამის საათებში - 30 დბ-ს, ხოლო არამუდმივი ხმაურის ნორმირებულ პარამეტრებს წარმოადგენს ბგერის LAექვ და ბგერის L Aმაქს. და შეადგენს დღის საათებში - Lექვ 40 დბ-ს (LAმაქს. 55 დბ-ს), ღამის საათებში _ Lექვ 30 დბ-ს (LAმაქს. 45). საჭიროა წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ჩილერების საერთო ხმაურის დინის შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას, ქ.თბილისში, ინგოროყვას ქ. N5–ში ჩილერის დანადგარების მოწყობის თაობაზე ვერ დააკამყოფილებს. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახურის მიერ საკითხი განმეორებით იქნება განხილული.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.